



საერთაშორისო
გამჭვირვალობა
საქართველო



პოლიტიკური პანთიების დაფინანსება საქართველოში 2022 წელს

პანთიების შემოსავლები, ხარჯები დაფინანსებზე
ზედამხედველობა

კვლევის ავტორი

გიგი ჩიხლაძე

2023 წლის ივნისი

ამ ანგარიშის გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით „ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“, USAID-ის მეშვეობით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ და შესაძლოა, არ ასახავდეს USAID-ის ანდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

USAID | საქართველო
ამერიკელი ხალხისგან

I. ძირითადი მიგნებები	4
II. რეკომენდაციები	6
III. შესავალი	7
IV. პოლიტიკური ფინანსების კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები	9
V. პოლიტიკური პარტიების შემოსავლები	11
1. მარეგულირებელი ჩარხო	11
1.1. სახელმწიფო დაფინანსება	11
1.2. კერძო დაფინანსება	11
2. პოლიტიკური პარტიების მიერ მიღებული შემოსავლების მიმოხილვა და ანალიზი	13
2.1. სახელმწიფო დაფინანსება	15
2.1.1. განსხვავებული სქესის წარმომადგენელთათვის გათვალისწინებული დანამატი	17
2.2. შემონირულებები	17
2.2.1. პოლიტიკური კორუფციის მაღალი რისკის შემცველი შემონირულებები	19
2.2.2. სხვა პირის მეშვეობით შემონირულებების კუთხით არსებული რისკები	22
2.4. სხვა ფულადი შემოსავლები	24
VI. პოლიტიკური პარტიების მიერ განეული ხარჯები	25
1. მარეგულირებელი ჩარხო	25
2. პოლიტიკური პარტიების მიერ განეული ხარჯების მიმოხილვა	25
2.1. შრომის ანაზღაურება	27
2.2. იჯარის, ოფისის და რეკლამის ხარჯები	29
2.3. სხვა ხარჯები	31
VII. ფინანსების გამჭვირვალობა და მასზე ზედამხედველობა	33
1. მარეგულირებელი ჩარხო	33
2. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საზედამხედველო საქმიანობა	34

I. ძირითადი მიგნებები

16 პოლიტიკური პარტიის მიერ წარდგენილი 2022 წლის ფინანსური დეკლარაციების ანალიზის შედეგად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ შემდეგი ძირითადი მიგნებები გამოკვეთა:

პარტიის შემოსავლები და ხარჯები

- შესწავლილმა 16-მა პარტიამ ჯამურად **16,927,785** ლარის ოდენობის შემოსავალი (საბიუჯეტო დაფინანსება, შემოწირულება, საბანკო სესხი) მიიღო და **16,047,245** ლარის ხარჯი განია, რაც 2021 საარჩევნო წელთან შედარებით 2.5-ჯერ ნაკლებია. ყველა პარტიის შემოსავლების **37%** (6,191,423 ლარი) და ხარჯების **39%** (6,281,984) „ქართულ ოცნებაზე“ მოდიოდა
- პოლიტიკური პარტიების მიერ ჯამურად მიღებული შემოსავლების **76%** (12,925,153 ლარი) სახელმწიფო დაფინანსებაზე მოდიოდა, **24%** (4,002,632) კი - კერძოზე (შემოწირულება, საბანკო სესხი). **16-დან 8 პარტიის შემოსავლების 90%-ზე მეტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება შეადგენს**
- 16 პოლიტიკური პარტიიდან მხოლოდ 8 პარტიამ, მიიღო შემოწირულება (აქედან ორმა – 1000 ლარზე ნაკლები). პარტიებმა სულ **2,656,066** ლარის ოდენობის შემოწირულება მიიღეს, რომლის **39%** (1,036,000 ლარი) „ქართული ოცნებაზე“ მოდიოდა.

პრობლემური ტენდენციები

- კვლავ პრობლემას წარმოადგენს **მმართველი პარტიის შემომწირველების მიერ მრავალმილიონიანი სახელმწიფო შესყიდვების (ტენდერები, პირდაპირი შესყიდვები) კონტრაქტების მოპოვების ფაქტები**, რომელიც კორუფციული გარიგებების ეჭვს აჩენს
- პრობლემურია შესაძლო **მესამე პირების მეშვეობით განხორციელებული შემოწირულებები**, როდესაც შეწირული თანხის წყარო სინამდვილეში არა დონორი, არამედ სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირია. ასეთი ქმედება კანონმდებლობით აკრძალულია
- კვლავ არსებითია ფინანსური უთანასწორობა მმართველ პარტიასა და სხვა პარტიებს შორის. პრობლემურია პარტიების მსხვილ დონორებზე დამოკიდებულება. მცირერიცხოვან, მაგრამ **მსხვილ დონორებზე ყველა პარტიის მიერ მიღებული თანხის დაახლოებით 50%** მოდიოდა
- პრობლემურია საკანონმდებლო ცვლილება, რომლითაც „ლელოს“ და „ლეიბორისტულ პარტიას“ საბიუჯეტო დაფინანსება შეუწყდა (მათი წევრების მიერ პარლამენტის დატოვების საფუძველით). **ცვლილების შედეგად „ლეიბორისტული პარტიის“ მთლიანი შემოსავალი წინა წელთან შედარებით 75%-ით შემცირდა**
- კანონმდებლობის ცვლილების შედეგად პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგს 2023 წლის 1 სექტემბრიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ნაცვლად ახლად შექმნილი ანტიკორუფციული ბიურო განახორციელებს. ანტიკორუფციული ფუნქციების ერთ ინსტიტუციაში მოქცევა მისასაღმებელი და საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისია. თუმცა, **ცენტრალიზებული მოდელი მუშაობს მხოლოდ ამ ინსტიტუციის რეალური დამოუკიდებლობისა და მისთვის საგამოძიებო უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში**
- სასურველი ეფექტი ვერ ექნება ცვლილებას, რომლითაც **პარტიის მიერ წლის განმავლობაში განეული ხარჯების მანამდე არსებული ზედა ზღვარი - ქვეყნის წინა წლის მშპ-ს 0.1% - განახევრდა და გახდა მშპ-ს 0.05%**, თუმცა მაინც არაადეკვატურად მაღალია.

სავარაუდოდ კორუფციული შემთხვევები

- „ქართული ოცნების“ ორ შემომწირველთან (მათ 2022 წელს „ქართულ ოცნებას“ **40,000 ლარი შეწირეს**) დაკავშირებულმა შპს „გზამ“ 2022 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 იანვრამდე პერიოდში **118 მილიონი ლარის ოდენობის 12 ტენდერი მოიგო**. ამ კომპანიას 2011 წლიდან 245 მილიონი ლარის ტენდერები აქვს მოგებული, ხოლო მასთან დაკავშირებულ პირებს მმართველი პარტიისთვის 220,000 ლარი აქვთ გაღებული
- კორუფციის მაღალ რისკებს შეიცავდა ჯონი ჯინჯარაძის და მარინა დესტიარევის მიერ „ქართული ოცნების“ **სასარგებლოდ გაღებული შემომწირულებები** (ჯამში 40,000ლ). **თანხის გაღებიდან 17 დღეში** მათთან დაკავშირებულ სამშენებლო კომპანიას (რომლის **მესაკუთრეებიც რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები არიან**) **ხელვაჩაურის საკრებულომ, ბათუმთან ახლოს, სალიბაურის მაღლობზე, 16,000 კვ.მ. ფართობზე, პროექტის განაშენიანების დეტალური გეგმა (გდგ) ერთხმად დაუმტკიცა**
- **ბიძინა ივანიშვილთან** პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულმა 7 პირმა 2022 წელს „ქართულ ოცნებას“ ჯამში 250,000 შეწირა. ამავე პირებს 2011 წლიდან მმართველი პარტიისთვის 1.8 მლნ ლარზე მეტი აქვთ შეწირული
- შემომწირველებიდან გამოიკვეთა რამდენიმე მცირე ჯგუფი, რომლებსაც **ერთსა და იმავე დღეს ან 1-2 დღის შუალედში** აქვთ მმართველი პარტიისთვის თანხა შეწირული და როგორც წესი სხვადასხვა გზით (ბიზნესი, ნათესაობა) არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. **ეს გარემოებები აჩენს ეჭვებს, წინასწარ ხომ არ არის ეს კოლექტიური ქმედება ვინმეს მიერ ორგანიზებული და სხვა პირების მეშვეობით ხომ არ ხდება შეწირვა.**

II. ჩაკომპლექსიანი

- ანტიკორუფციული ბიურო აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი საგამოძიებო უფლებამოსილებებით. პოლიტიკური ნეიტრალიტეტის უზრუნველსაყოფად ბიუროს უფროსი დაინიშნოს პარლამენტის მიერ, დანიშვნაში მონაწილეობა ოპოზიციურმა პარტიებმაც უნდა მიიღონ
- აუცილებელია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციულ სააგენტომ შეისწავლოს „ეჩი გრუპ დეველოპმენტის“ მიერ სალიბერალური მაღლობზე დაგეგმილი მშენებლობის ნებართვის შესაძლო კორუფციული გზით მოპოვების ფაქტი
- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციულმა სააგენტომ უნდა შეისწავლოს მმართველი პარტიის დონორების მიერ განხორციელებული შემოწირულებების კავშირი მათ მიერ მიღებულ მსხვილი სახელმწიფო შესყიდვების კონტრაქტებთან, რათა გამოირიცხოს შესაძლო კორუფციული გარიგების არსებობა
- პოლიტიკურმა პარტიამ არ უნდა დაკარგოს კუთვნილი სახელმწიფო დაფინანსება იმისდა მიუხედავად იგი საპარლამენტო მანდატებს გამოიყენებს თუ არა, ვინაიდან პარტიის დაფინანსება მის მიერ არჩევნებზე მიღებულ შედეგებზე უნდა იყოს დამოკიდებული და არა საპარლამენტო საქმიანობაზე
- იმ პოლიტიკურმა პარტიებმა, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან განსხვავებული სქესის წარმომადგენელთათვის გათვალისწინებულ დანამატს იღებენ, სრულად უნდა დაიცვან დეკლარაციების შევსების წესი და შესაბამის ველში მიუთითონ მიღებული თანხის ოდენობა
- სასურველია, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა წლიურ ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტში ჩაამატოს ცალკე ფორმა, სადაც პარტიები მიუთითებენ „სხვა ფულადი შემოსავლების“ კატეგორიაში აღნიშნული თანხის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კონკრეტულ წარმომავლობას
- სასურველია, პოლიტიკურმა პარტიებმა უფრო მეტი აქცენტი გააკეთონ სხვადასხვა ღონისძიებებისა თუ კამპანიების მეშვეობით შემოწირულებების მოზიდვაზე. როგორც წესი, ასეთ დროს პარტიები რამდენიმე მსხვილ დონორზე არ არიან დამოკიდებული და შესაძლო კორუფციული გარიგებების რისკიც უფრო მცირეა.

III. შესავალი

კონკურენტული და სამართლიანი არჩევნები დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი საფუძველია. პოლიტიკური პარტიების კონკურენტუნარიანობას კი დიდ წილად მათი ფინანსური რესურსები განაპირობებს. საქართველოს საარჩევნო ისტორია გვიჩვენებს, რომ ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ჯგუფი ყოველთვის გაცილებით უფრო დიდ ფინანსურ შესაძლებლობებს ფლობს, ვიდრე მისი კონკურენტები, რაც არათანაბარ საარჩევნო გარემოს ქმნის. გარდა ამისა, პოლიტიკურ ფულს ყოველთვის თან ახლავს კორუფციის რისკები, შესაბამისად, ფინანსების გამჭვირვალობა და მასზე ეფექტიანი ზედამხედველობის განწევა მნიშვნელოვანი პირობაა იმისთვის, რომ პოლიტიკური კონკურენცია სამართლიანი და ამომრჩეველზე ორიენტირებული იყოს. პოლიტიკური ფინანსების საკითხს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ უკვე წლებია სწავლობს და პერიოდულად აქვეყნებს ანგარიშებს.

ამჯერად წარმოგიდგინებთ კვლევას, რომელშიც გაანალიზებულია ქართული პოლიტიკური პარტიების დაფინანსება 2022 წელს. ამ წელს ქვეყანაში საერთო არჩევნები არ ჩატარებულა, რაც პარტიების ფინანსებზეც აისახა. არასაარჩევნო წლებში პარტიების შემოსავლებისთვის დამახასიათებელია კერძო შემოწირულებათა წილის კლება და პარტიების საბიუჯეტო დაფინანსებაზე მაღალი დამოკიდებულება. ხარჯებში კი თვალშისაცემია ისეთი ხარჯების წილის ზრდა, როგორცაა შრომის ანაზღაურება და იჯარის ხარჯები.

ყოველი წლის 1 თებერვლამდე პოლიტიკური პარტიები ვალდებული არიან, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს წარუდგინონ წინა წლის შემაჯამებელი ფინანსური ანგარიშგებები, რომლებიც აუდიტის სამსახურის ვებგვერდზე ქვეყნდება.¹ წინამდებარე კვლევის უდიდესი ნაწილი აღნიშნული ფინანსური დეკლარაციების ანალიზს წარმოადგენს, შესაბამისად, საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2022 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით არსებულ დროის შუალედს. სხვადასხვა მონაცემის და ტენდენციის გასაანალიზებლად პერიოდულად გამოყენებული იქნა სხვა წლების ინფორმაციაც.

რაც შეეხება კვლევის სუბიექტებს, შერჩეულ იქნა ისეთი პოლიტიკური პარტიების ფინანსური ანგარიშგებები, რომლებიც 2022 წლის მდგომარეობით ან კვალიფიციური პოლიტიკური პარტიები² იყვნენ ან ამავე წელს მინიმუმ 100,000 ლარის შემოსავალი მოიზიდეს. ზემოაღნიშნული კრიტერიუმები შემდეგმა 16-მა პოლიტიკურმა პარტიამ დააკმაყოფილა: „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ „მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“, „კონსერვატიული მოძრაობა“, „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“, „საქართველოს ევროპელი დემოკრატები“, „გიორგი ვაშაძე-სტრატეგია აღმაშენებელი“, „კანონი და სამართალი“, „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“, „ახალი პოლიტიკური ცენტრი - გირჩი“, „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები“, „ლელო საქართველოსთვის“, „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“, „პროგრესი და თავისუფლება“.

პოლიტიკური პარტიების წლიური ფინანსური ანგარიშგებების გარდა, კვლევისთვის გამოყენებულ იქნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სამართალდარღვევის საქმეების რეესტრი.³ პოლიტიკური პარტიების შემომწირვლების ბიზნესკავშირებისა და სახელმწიფო შესყიდვებში მათი ინტერესების დასადგენად გამოყენებულ იქნა „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ვებგვერდები www.politicaldonations.ge, www.tendermonitor.ge, www.compainfo.ge სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდი www.procurement.gov.ge და სხვა ღია მონაცემი.

1 <https://monitoring.sao.ge>

2 პოლიტიკური პარტია, რომელსაც წინა საპარლამენტო არჩევნების შედეგების საფუძველზე, სახელმწიფო დაფინანსების მიღების უფლება მოიპოვა.

3 პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ 2022 წელს წარმოებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეების რეესტრი: <https://bit.ly/3qt7WzI>

ანგარიში მომზადდა კანონმდებლობის, ასევე, სტატისტიკური მონაცემების თვისებრივი და რაოდენობრივი ანალიზის საფუძველზე. კვლევის ზოგიერთი ნაწილი აღებულია პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესახებ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ადრინდელი ანგარიშებიდან.

კვლევის დასაწყისში მოკლედ არის მიმოხილული ის ზოგადი საკანონმდებლო ჩარჩო, რომლითაც საქართველოში პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხები არის მონესრიგებული და ის საკანონმდებლო სიახლეები, რასაც 2022 წელს ჰქონდა ადგილი. ანგარიშის შემდეგ თავებში წარმოდგენილია ზემოთ ნახსენები 16 პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული შემოსავლებისა და განუული ხარჯების რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი.⁴ შემოსავლების ნაწილში აქცენტი გაკეთებულია როგორც სახელმწიფო, ისე კერძო დაფინანსებაზე. გარდა ამისა, წარმოდგენილია პოლიტიკური პარტიების მიერ 2022 წელს მიღებული შემოწირულებები და მათთან დაკავშირებული პოლიტიკური კორუფციის რისკების შემცველი შემთხვევები. ხარჯების ნაწილში მოცემულია პარტიების მიერ ოფიციალურად დეკლარირებული მონაცემების მიმოხილვა. ბოლო თავი კი ეთმობა ფინანსების გამჭვირვალობისა და მასზე ზედამხედველობის საკითხს.

4 პარტიების მიერ მიღებული შემოსავლებისა და განუული ხარჯების შესახებ ინფორმაცია, ძირითადად, აღებულია მათ მიერვე შევსებული დეკლარაციებიდან. აქედან გამომდინარე, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ყველა მონაცემის სიზუსტეზე პასუხს არ აგებს. გარდა ამისა, მონაცემები ძირითადად დაანგარიშებულია საკასო შემოსავლებისა და ხარჯების მიხედვით. გამონაკლისი არის საბანკო სესხი და არაფულადი შემოწირულება, რომლებიც პარტიების ფაქტობრივ შემოსავლებში აღინუსხება.

IV. პოლიტიკური ფინანსების კანონმდებლობაში უზენაესი ცვლილებები

საქართველოში პოლიტიკური დაფინანსების რეგულირების ძირითადი სამართლებრივი საფუძვლები განსაზღვრულია ორგანული კანონებით „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ და საარჩევნო კოდექსი, ასევე, კანონებით - „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის ბრძანებით.⁵

2022 წლის ბოლოს არსებითი ცვლილებები განიცადა პოლიტიკური პარტიების ზედამხედველობის სისტემამ. შეიქმნა ანტიკორუფციული ბიურო, რომელსაც თავდაპირველი ვერსიით მხოლოდ მაკოორდინირებელი ხასიათის უფლებამოსილებები უნდა ჰქონოდა, თუმცა კანონპროექტის განხილვის ეტაპზე, მას სხვა მნიშვნელოვანი ფუნქციები, მათ შორის პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგი დაემატა. ანტიკორუფციული ბიუროს შესახებ კანონით გათვალისწინებული ანტიკორუფციული ფუნქციების ერთ ინსტიტუციაში მოქცევა მისასაღმებელი და საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისია,⁶ თუმცა, **ცენტრალიზებული მოდელი მუშაობს მხოლოდ ამ ინსტიტუციის რეალური დამოუკიდებლობისა და მისთვის სათანადო (საგამოძიებო) უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში.**⁷

ამ მხრივ, ანტიკორუფციული ბიუროს შესახებ კანონი ნაკლოვანია, რადგან ის არ მოიცავს ბიუროსთვის საგამოძიებო უფლებამოსილების მინიჭებას. კორუფციული დანაშაულის გამოძიების ფუნქცია კვლავ რჩება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და პროკურატურის ქვეშ. პრობლემურია ასევე ბიუროს ხელმძღვანელის დანიშვნის წესი. პრემიერ მინისტრის მიერ ბიუროს ხელმძღვანელის დანიშვნა ვერ უზრუნველყოფს ამ ინსტიტუციის რეალურ დამოუკიდებლობას. გემოაღნიშნული ცვლილებების ამოქმედება 2023 წლის 1 სექტემბრიდანაა დაგეგმილი.⁸

გასული წლის დეკემბერში ამოქმედდა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონის ცვლილება, რომელიც **პარტიის მიერ წლის განმავლობაში განეული ხარჯების საერთო ოდენობის ზედა ზღვარს ანახევრებს.**⁹ ნაცვლად მანამდე მოქმედი ქვეყნის წინა წლის მშპ-ს 0.1%-სა გახდა მშპ-ს 0.05%. 2023 წლის მონაცემებით ეს ნიშნავს, რომ პარტიის წლიური ხარჯების ზედა ზღვარი დაახლოებით 36 მლნ ლარი იქნება. ეს ზღვარი მიუხედავად განახევრებისა, მაინც არაადეკვატურად მაღალია, საქართველოში არასდროს არცერთ პარტიას არ მიუღწევია ამ ზღვრისთვის. შესაბამისად ეს ლიმიტი ფორმალურია და რეალური ეფექტი არ გააჩნია.

2022 წლის 1 მარტიდან ამოქმედდა კანონი, რომლის თანახმადაც პოლიტიკური პარტია კარგავს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მიღების უფლებას, თუ ამ პარტიის წარდგენით არჩეულ საქართველოს პარლამენტის წევრთა ნახევარს ან ნახევარზე მეტს ვადამდე შეუწყდა პარლამენტის წევრის უფლებამოსილება. კანონში შეტანილი აღნიშნული ცვლილებებით, **ორმა პარტიამ - „საქართველოს ლეიბორისტულმა პარტიამ“ და პარტიამ „ლელო საქართველოსათვის“, 2022 წლის 1 მარტიდან სახელმწიფო დაფინანსების მიღების უფლება დაკარგა.**

5 სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2021 წლის 5 აგვისტოს №012036/21 ბრძანება „პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5237330?publication=0>

6 „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ წლებია მხარს უჭერს ანტიკორუფციული სააგენტოს შექმნას, რომელსაც შესაბამისი უფლებამოსილება და დამოუკიდებლობა ექნება, ვრცლად, იხ.: „ანტიკორუფციულ რეფორმაზე ახალი საკანონმდებლო ინიციატივის მხარდაჭერა მნიშვნელოვნად გაზრდის კორუფციასთან ბრძოლის ეფექტურობას“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 01.09.2020: <https://bit.ly/3jrEwbZ>

7 კანონის შეფასება ვრცლად იხ.: „ანტიკორუფციული ბიუროს შესახებ კანონის შეფასება“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 2.12.2022, <https://bit.ly/43GDUXC>

8 იქვე.

9 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის 25¹-ე მუხლის 1 პუნქტი და 39³-ე მუხლი.

ბემოაღნიშნულ ცვლილებებს ვენეციის კომისია და ეუთო/ოდირი ჯერ კიდევ კანონპროექტის ეტაპზე მწვავედ აკრიტიკებდა,¹⁰ „ეუთო/ოდირის“ დასკვნას წინ უსწრებდა არაერთი არასამთავრობო ორგანიზაციის, მათ შორის „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ კრიტიკული შეფასებაც.¹¹

რეკომენდაციები

- ანტიკორუფციული ბიურო აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი საგამოძიებო უფლებამოსილებებით. პოლიტიკური ნეიტრალიტეტის უზრუნველსაყოფად ბიუროს უფროსის დანიშვნაში მონაწილეობა ოპოზიციურმა პარტიებმაც უნდა მიიღონ.
- პოლიტიკურმა პარტიამ არ უნდა დაკარგოს კუთვნილი სახელმწიფო დაფინანსება იმისდა მიუხედავად იგი საპარლამენტო მანდატებს გამოიყენებს თუ არა, ვინაიდან პარტიის დაფინანსება მის მიერ არჩევნებზე მიღებულ შედეგებზე უნდა იყოს დამოკიდებული და არა საპარლამენტო საქმიანობაზე.

10 ON AMENDMENTS TO THE ELECTION CODE, THE LAW ON POLITICAL ASSOCIATIONS OF CITIZENS AND THE RULES OF PROCEDURE OF THE PARLIAMENT OF GEORGIA, EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION) and OSCE OFFICE FOR DEMOCRATIC INSTITUTIONS AND HUMAN RIGHTS (OSCE/ODIHR), JOINT OPINION, CDL-AD(2021)008, Strasbourg, 20 March 2021, <https://bit.ly/3NewEN4>

11 „საარჩევნო და პოლიტიკური პარტიების კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებები დემოკრატიულ სტანდარტებს არ აკმაყოფილებს“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 2020 წლის 28 დეკემბერი; ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/bEITvzO>

1. ბაზელის რეგულაციები

საქართველოს კანონმდებლობით, პოლიტიკურ პარტიებს შემოსავლების მიღება შემდეგი წყაროებიდან აქვთ ნებადართული: 1. სახელმწიფო დაფინანსება; 2. სანვერო შენატანები; 3. შემონირულებები; 4. სიმბოლიკის დამზადებითა და გავრცელებით, ლექციების, გამოფენებისა და სხვა საჯარო ღონისძიებების მოწყობით, აგრეთვე, სანესდებო მიზნებიდან გამომდინარე საგამომცემლო და სხვა საქმიანობიდან მიღებული წლიური შემოსავალი; 5. საბანკო სესხები.

1.1. სახელმწიფო დაფინანსება

როგორც აღინიშნა, პარტიის დაფინანსების ერთ-ერთი წყარო შეიძლება სახელმწიფოსგან მიღებული სახსრები იყოს. სახელმწიფო დაფინანსების ოდენობა და სუბიექტები განისაზღვრება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის მიხედვით. კანონი ადგენს, რომ სახელმწიფოსგან დაფინანსების მიღების შემდეგი გზები არსებობს:

- **თანხის პირდაპირ პარტიებისთვის გადაცემა**

ბიუჯეტიდან პირდაპირ პარტიისთვის გასანაწილებლად გამოყოფილ თანხას იღებს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული ის პარტია, რომელიც საქართველოს პარლამენტის ბოლო არჩევნებში ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 1% მაინც მიიღო. დაფინანსება განისაზღვრება პარლამენტის ბოლო არჩევნებში პირველი 50,000 ნამდვილი ხმის ფარგლებში მიღებული თითოეული ხმისთვის 15 ლარის, ხოლო თითოეული შემდგომი მიღებული ნამდვილი ხმისთვის – 5 ლარის ოდენობით.¹²

- **განსხვავებული სქესის წარმომადგენელთათვის გათვალისწინებული დანამატი**

პარტია, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, დამატებით კიდევ მიიღებს სახელმწიფო დაფინანსების 30%-ს, თუ ამ პარტიის ბოლო საპარლამენტო არჩევნებზე წარდგენილ პარტიულ სიაში ყოველ სამეულში ერთი კანდიდატი განსხვავებული სქესის წარმომადგენელი იყო.

- **უფასო სარეკლამო დრო**

გარდა პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსებისა კანონმდებლობა განსაზღვრავს პოლიტიკური პარტიის არაპირდაპირ დაფინანსებასაც. საერთო ეროვნული საეთერო მაუწყებელი ვალდებულია საერთო არჩევნებისას საარჩევნო კამპანიის დროს საკუთარ ეთერში ყოველ 3 საათში არანაკლებ 7.5 წუთი გამოყოფს კვალიფიციური საარჩევნო პარტიის რეკლამისთვის, რომელიც მათ თანაბრად და არადისკრიმინირებულად გაუნაწილდებათ. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი იმავე მიზნით ყოველ საათში 5 წუთს გამოყოფს.

აკრძალულია სახელმწიფოსგან დაფინანსების, ან სხვა სახის სიკეთის მიღება, რომელიც არ თავსდება ზემოთ აღწერილ კატეგორიებში.

1.2. კერძო დაფინანსება

სახელმწიფო დაფინანსებასთან ერთად, პოლიტიკურ პარტიებს უფლება აქვთ, ფინანსური სახსრები მოიზიდონ კერძო პირებისგან, კანონით დადგენილი კერძო დაფინანსების ყველაზე მსხვილი კატეგორიები:

12 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

• **სანევრო შენატანები**

სანევრო შენატანების წლიური ოდენობის ზედა ზღვარი 1,200 ლარია.

• **შემონირულებები**

შემონირულება შეიძლება იყოს:

- პარტიის ანგარიშზე ფიზიკური, ან იურიდიული პირის მიერ ჩარიცხული ფულადი თანხა;
- პარტიის მიერ ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან უსასყიდლოდ ან ფასდაკლებით/შელავათიანი პირობებით მიღებული მატერიალური ან არამატერიალური ფასეულობა (მათ შორის, შეღავათიანი კრედიტი) და მომსახურება (გარდა მოხალისის მიერ ნებაყოფლობით შესრულებული სამუშაოსი).

შემონირულებების განხორციელებისას კანონი ადგენს როგორც თვისებრივ, ისე რაოდენობრივ შეზღუდვებს:

- შემომწირველი ფიზიკური პირი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე;
- შემომწირველი იურიდიული პირი უნდა იყოს რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო მისი პარტნიორები და საბოლოო ბენეფიციარები მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები უნდა იყვნენ;
- შემომწირველი არ შეიძლება იყოს იურიდიული პირი, რომლის წინა კალენდარული წლის ან საარჩევნო წლის კენჭისყრის დღემდე ფაქტობრივი შემოსავლების 15%-ზე მეტი მიღებულია მის სასარგებლოდ ან მისი მონაწილეობით შექმნილი სანარმოს სასარგებლოდ განხორციელებული გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვებით;
- პარტიის მიერ თითოეული მოქალაქისაგან მიღებული შემონირულებების საერთო ოდენობა წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 60,000 ლარს, ხოლო თითოეული იურიდიული პირისაგან მიღებული შემონირულებების საერთო ოდენობა წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 120,000 ლარს;

ასევე, აკრძალულია შემონირულების მიღება:

- სხვა ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მოძრაობებისაგან;
- სახელმწიფო ორგანოსაგან, სახელმწიფო ორგანიზაციისაგან, საჯარო სამართლის იურიდიული პირისაგან, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საზოგადოებისაგან;
- არასამწარმეო იურიდიული პირისაგან და რელიგიური ორგანიზაციისაგან;
- ანონიმური ფორმით.

• **საბანკო კრედიტი**


პარტიას, ასევე, უფლება აქვს, აიღოს კრედიტი მხოლოდ საქართველოს კომერციული ბანკისაგან საერთო რაოდენობით არაუმეტეს ერთი მილიონი ლარისა კალენდარული წლის განმავლობაში.

2. პოლიტიკური პარტიების მიერ მიღებული შემოსავლების მიმოხილვა და ანალიზი

როგორც უკვე აღინიშნა, კვლევის ფარგლებში გაანალიზდა იმ პოლიტიკური პარტიების ფინანსური დეკლარაციები, რომლებსაც კვალიფიციური პარტიების სტატუსი ჰქონდათ ან 2022 წლის განმავლობაში 100,000 ლარი ან მეტი შემოსავალი მიიღეს.

2022 წელს კვლევის ფარგლებში შესწავლილმა 16 პოლიტიკურმა პარტიამ მთლიანობაში **16,927,785** ლარის ოდენობის შემოსავალი მიიღო, რაც 2.5-ჯერ ნაკლებია 2021 წელს პარტიების მიერ მიღებულ შემოსავალზე.¹³ ჯამური შემოსავლების თითქმის 40% - 6,191,423 ლარი, მმართველ პარტიაზე „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოზე“ მოდიოდა. 2,419,272 ლარით მეორე ადგილზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ იყო, ხოლო მესამეზე – „პატრიოტთა ალიანსი“ 1,748,298 ლარით (იხილეთ **დიაგრამა 1**).


დიაგრამა 1. პოლიტიკური პარტიების მიერ 2022 წელს მიღებული მთლიანი შემოსავალი, ₾



მონაცემთა წყარო: პოლიტიკური პარტიების მიერ სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის წარდგენილი წლიური ფინანსური დეკლარაციები

13 2021 წელი საარჩევნო წელი იყო და პარტიებმა ჯამში 43 მლნ ლარზე მეტი შემოსავალი მიიღეს.

2022 წელს პოლიტიკური პარტიების მიერ ჯამურად მიღებული შემოსავლების **76%** (12,925,153 ლარი) სახელმწიფო დაფინანსებაზე მოდიოდა, **16%** (2,656,066 ლარი) – შემოწირულებებზე, **8%** კი – სხვა ტიპის შემოსავალზე, მათ შორის, კომერციული ბანკიდან მიღებულ სესხზე (იხილეთ **დიაგრამა 2**). საარჩევნო წელს, როგორც წესი, პარტიების შემოსავლებში კერძო შემოწირულებებს გაცილებით დიდი წილი უკავია.¹⁴




მონაცემთა წყარო: პოლიტიკური პარტიების მიერ სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის წარდგენილი წლიური ფინანსური დეკლარაციები

2022 წელს პარტიების უმრავლესობისთვის საბიუჯეტო დაფინანსება შემოსავლის ძირითადი წყარო იყო (იხილეთ **დიაგრამა 3**).

14 მაგალითად, 2020 წელს კერძო შემოსავლების წილი 77%-ს შეადგენდა, დეტალურად იხილეთ პოლიტიკური პარტიების დაფინანსება საქართველოში 2020 წელს: პარტიების შემოსავლები, ხარჯები და ფინანსებზე ზედამხედველობა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, გვ. 20-21, <https://bit.ly/3Ez3eDx>

დიაგრამა 3. სახელმწიფო დაფინანსების წილი 2022 წელს პოლიტიკური პარტიების მიერ მიღებულ მთლიან შემოსავლებში




მონაცემთა წყარო: პოლიტიკური პარტიების მიერ სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის წარდგენილი წლიური ფინანსური დეკლარაციები

2.1. სახელმწიფო დაფინანსება

როგორც უკვე აღინიშნა, სახელმწიფო დაფინანსება 2022 წლის განმავლობაში პარტიების მიერ მიღებული შემოსავლების **76%**-ს (12,925,153 ლარი) შეადგენდა, აქედან, ტრადიციულად, ყველაზე მეტი - 5,140,020 ლარი (მთლიანი სახელმწიფო დაფინანსების **40%**) - მმართველმა პარტიამ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ მიიღო, მეორეზე „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობა“ იყო (2,199,635 ლარი), ხოლო მესამეზე - „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ (1,124,409 ლარი) (იხილეთ **დიაგრამა 4**).


დიაგრამა 4. პოლიტიკური პარტიების მიერ 2022 წელს მიღებული სახელმწიფო დაფინანსება, ლ



მონაცემთა წყარო: პოლიტიკური პარტიების მიერ სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის წარდგენილი წლიური ფინანსური დეკლარაციები

როგორც IV თავში აღვნიშნეთ, „ლელოს“ და „ლეიბორისტულ პარტიას“ დაუსაბუთებელი მიზეზით 2022 წლის 1 მარტიდან სახელმწიფო დაფინანსება შეუწყდა, რის შედეგადაც, მათ 2022 წელს მისაღები სახელმწიფო დაფინანსების მხოლოდ მცირე ნაწილი მიიღეს (იხ. **დიაგრამა 5**). ეს განსაკუთრებით მძიმე დარტყმაა „ლეიბორისტული პარტიის“ ფინანსებისთვის, რომლის 2021 წლის მთლიანი შემოსავლების 94%-ს საბიუჯეტო დაფინანსება შეადგენდა. შედეგად, **პარტიის მთლიანი შემოსავლები 2021 წელთან შედარებით 75%-ით შემცირდა** (310,000 ლარიდან 79,000 ლარამდე).

დიაგრამა 5. „ლეიბორისტების“ და „ლელოს“ სახელმწიფო დაფინანსება 2021 და 2022 წლებში, ლ



2.1.1. განსხვავებული სქესის წარმომადგენელთათვის გათვალისწინებული დანამატი

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისას განსხვავებული სქესის წარმომადგენლობისთვის გათვალისწინებული ფინანსური დანამატი შესწავლილი 16 პოლიტიკური პარტიიდან 5-მა მოიპოვა: „გიორგი ვაშაძე-სტრატეგია აღმაშენებელი“; „კანონი და სამართალი“; „ევროპული საქართველო-მოდერაობა თავისუფლებისთვის“; „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ და „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები“.

აქედან გამომდინარე, ამ პარტიებმა 2022 წელსაც მიიღეს ეს თანხა (სულ 1,096,999 ლარი), თუმცა, ფინანსურ დეკლარაციებში ხუთი პარტიიდან მხოლოდ „ევროპულმა საქართველომ“ მიუთითა შესაბამის ველში ცალკე ამ დაფინანსების რაოდენობის შესახებ (259,479 ლარი), დანარჩენებმა კი ეს თანხები მხოლოდ ჯამურ სახელმწიფო დაფინანსებაში აღნუსხეს.


რეკომენდაცია

ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან განსხვავებული სქესის წარმომადგენელთათვის გათვალისწინებულ დანამატს იღებენ, სრულად უნდა დაიცვან დეკლარაციების შევსების წესი და შესაბამის ველში მიუთითონ მიღებული თანხის ოდენობა.

2.2. შემოწმება

კვლევის ფარგლებში შესწავლილმა 16-მა პარტიამ 2022 წელს ჯამში **2,656,066** ლარის ოდენობის ფულადი და არაფულადი შემოწმრულება მიიღო, რომლის **39% (1,036,000 ლარი)** „ქართულმა ოცნება - დემოკრატიულმა საქართველომ“ მიიღო. მეორე ადგილზე „ლელო“ იყო 630,837 ლარით, ხოლო მესამეზე – „კონსერვატიული მოძრაობა“ (ალტ-ინფო) 590,073 ლარით (იხილეთ **დიაგრამა 6**).

დიაგრამა 6. პოლიტიკური პარტიების მიერ 2022 წელს მიღებული შემოწირულებები, ლ



მონაცემთა წყარო: პოლიტიკური პარტიების მიერ სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის წარდგენილი წლიური ფინანსური დეკლარაციები

პარტიების მიერ 2022 წელს ჯამურად მიღებული შემოწირულებების თითქმის **100%** ფიზიკური პირების მიერ იქნა განხორციელებული. ქართული პოლიტიკური პარტიების შემომწირველთა მხოლოდ **3%**-ს ჰქონდა იმაზე მეტი შეწირული, ვიდრე 2022 წელს საშუალო წლიური ნომინალური ხელფასი იყო საქართველოში (დაახლოებით 19,101 ლარი¹⁵). თუმცა ასეთ მცირერიცხოვან (სულ 35 შემომწირველი), მაგრამ მსხვილ დონორებზე ყველა პარტიის მიერ მიღებული თანხის დაახლოებით **50%** მოდიოდა.

15 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ხელფასები; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/38UzMfM>

რეკომენდაცია

სასურველია, პოლიტიკურმა პარტიებმა სხვადასხვა ღონისძიებებისა თუ კამპანიების მეშვეობით უფრო მეტი აქცენტი გააკეთონ შემომწირულებების მოზიდვაზე. როგორც წესი, ასეთ დროს პარტიები რამდენიმე მსხვილ დონორზე არ არიან დამოკიდებული და ნაკლებად არიან გახვეული დაფინანსების კორუფციულ სქემებში.

2.2.1. პოლიტიკური კორუფციის მაღალი რისკის შემცველი შემომწირულებები

პოლიტიკური პარტიის მიერ მოზიდული შემომწირულებები საქართველოში ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. საზოგადოებაში პერიოდულად ჩნდება ლეგიტიმური კითხვები იმის შესახებ, თუ ვინ დგას რეალურად ამ ფინანსური ტრანზაქციების უკან და საქმე ხომ არ გვაქვს კორუფციულ გარიგებასთან.

პოლიტიკური კორუფცია კორუფციის ერთ-ერთი სახეობაა, რომელიც პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღები პირების მიერ ჩადენილ გარკვეულ ქმედებებს მოიაზრებს. პოლიტიკურ კორუფციას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც პოლიტიკოსები ან სახელმწიფო თანამდებობის პირები საკუთარ უფლებამოსილებებს პირადი გამორჩენის ან სხვა ტიპის კერძო ინტერესების დასაკმაყოფილებლად იყენებენ.¹⁶

პოლიტიკური პარტიების დაფინანსების კუთხით პოლიტიკურმა კორუფციამ ბევრი სახე შეიძლება მიიღოს, მათ შორის მოიცვას ისეთი შემთხვევები, როდესაც მმართველი პარტიის სასარგებლოდ შეწირული თანხის სანაცვლოდ შემომწირველი გარკვეული სარგებელს იღებს სახელმწიფოსაგან. ქართული კანონმდებლობით გათვალისწინებული ანტიკორუფციული მექანიზმები ამ კუთხით საკმაოდ სუსტია და მხოლოდ ერთ შემზღუდავს ითვალისწინებს, კერძოდ, პარტიის შემომწირველი არ შეიძლება იყოს იურიდიული პირი, რომლის წინა კალენდარული წლის ან საარჩევნო წლის კენჭისყრის დღემდე ფაქტობრივი შემოსავლების 15%-ზე მეტი მიღებულია მის სასარგებლოდ ან მისი მონაწილეობით შექმნილი სანარმოს სასარგებლოდ განხორციელებული გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვებით. ამ რეგულაციის გვერდის ავლა მარტივად არის შესაძლებელი, მაგალითად იმით, რომ გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის კონტრაქტის მიმღებმა კომპანიამ კი არ შესწიროს პარტიას თანხა, არამედ მისმა მფლობელმა ან სხვა შესაბამისმა ფიზიკურმა პირმა. შესაძლოა ამის გამოც არის, რომ კანონის ამ ნორმის დარღვევა სახელმწიფო აუდიტის სამსახურს არასოდეს დაუფიქსირებია.

კორუფციული და უკანონო სქემების გამიფვრა საკმაოდ რთულია, თუმცა „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ დიდი ხანია ცდილობს, მეტი ინფორმაცია მიიღოს საზოგადოებას პოლიტიკური პარტიების შემომწირულებებისა და მათი ბიზნეს ინტერესების, ასევე, მათი კომპანიების მიერ მიღებული სახელმწიფო შესყიდვების კონტრაქტების შესახებ.

ამ კავშირების უფრო ადვილად დადგენის მიზნით „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ შექმნა სპეციალური ვებგვერდი www.politicaldonations.ge, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია 2011 წლიდან პოლიტიკური პარტიების სასარგებლოდ განხორციელებული ყველა შემომწირულების შესახებ. ამასთანავე, ვებგვერდზე შესაძლებელია შემომწირველების ბიზნესინტერესების ნახვაც.

პოლიტიკური კორუფციის განსაკუთრებით მაღალი რისკები, ბუნებრივია, მმართველი პარტიის მიერ მიღებულ შემომწირულებებს უფრო ახლავს თან, ვინაიდან სწორედ ხელისუფლებას აქვს იმის ბერკეტი, რომ გარკვეული სარგებლის მიღების სანაცვლოდ გაურიგდეს პოტენციურ შემომწირველს. აქედან გამომდინარე, კვლევისას განსაკუთრებული აქცენტი „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ შემომწირულებებზე გაკეთდა. ამ მიზნით შევისწავლეთ მმართველი პარტიის შემომწირველები, რომლებმაც 2022 წელს პარტიის სასარგებლოდ გაიღეს თანხა. კერძოდ,

16 Political Corruption Topic Guide, Transparency International, 31.10.2014: <https://bit.ly/3LtSjNg>

შევინავეთ, თუ რამდენი მათგანი იყო იმ კომპანიებთან დაკავშირებული, რომლებსაც იმავე პერიოდში¹⁷ გარკვეული სარგებელი მიიღეს სახელმწიფო შესყიდვებიდან.

2022 წელს „ქართულმა ოცნებამ“ გაცილებით ნაკლები შემოწირულება მიიღო საარჩევნო 2021 წელთან შედარებით (2021 - 20 მლნ ლარი, 2022 - 1 მლნ ლარი), შესაბამისად არსებითად არის შემცირებული შემომწირველთა რაოდენობა, 2021 წელს მმართველ პარტიას 1015 დონორი ყავდა, 2022 წელს — 28 (იხ. ცხრილი 1-ში „ქართული ოცნების“ 2022 წლის ყველა დონორი).

ცხრილი 1. „ქართული ოცნების“ შემომწირველები 2022 წელს		
შენიშვნის თარიღი	სახელი, გვარი	თანხა (ლ)
26.01.2022	თამაზ თამაზაშვილი	10,000
29.03.2022	გურამ ბერიძე	1,000
01.04.2022	ზურაბ ძაგნიძე	50,000
01.04.2022	ირაკლი შატაკიშვილი	50,000
01.04.2022	კახაბერ მჭედლიშვილი	50,000
28.04.2022	ლაშა ბაგრატიონი	50,000
29.04.2022	თეონა ბაგრატიონი	50,000
29.04.2022	მუხრანი ბაგრატიონი	50,000
31.05.2022	გიორგი ხუციშვილი	50,000
07.06.2022	ნუგზარ დეკანოიძე	50,000
07.06.2022	ივანე ფარქოსაძე	50,000
08.07.2022	ნინო სუთიძე	50,000
08.07.2022	ნოშრევან ნამორაძე	50,000
29.07.2022	ზურაბ გოგუა	30,000
29.07.2022	გოჩა ჩიკვილაძე	30,000
29.07.2022	ნატო ხაინდრავა	40,000
08.09.2022	ოთარ ცეცხლაძე	5,000
04.10.2022	მანანა ნადირაძე	30,000
04.10.2022	დავით გალუაშვილი	40,000
06.10.2022	გივი ლებანიძე	30,000

17 „იმავე პერიოდში“ ამ თავის მიზნებისთვის იგულისხმება 2021 წლის 1 დეკემბრიდან 2023 წლის 31 იანვრის ჩათვლით არსებული პერიოდი.

24.10.2022	სულხან ბაკურიძე	30,000
27.10.2022	ედნარ ხიმშიაშვილი	50,000
25.11.2022	ჯონი ჯინჭარაძე	20,000
25.11.2022	მარინა დეხტიარევი	20,000
08.12.2022	ჯემალ ჭყონია	20,000
08.12.2022	მალხაზ დუმბაძე	20,000
08.12.2022	ლაშა ბალაძე	60,000
14.12.2022	გიორგი ჭყონია	50,000

მმართველი პარტიის 2022 წლის შემომწირველებთან დაკავშირებულმა მხოლოდ ერთმა კომპანიამ მოიგო ტენდერები. ეს იყო შპს „გზა“, რომლის 100%-იანი წილის მფლობელმა გიორგი ჭყონიამ და დირექტორმა მალხაზ დუმბაძემ ჯამში 40,000 ლარი შენირეს „ქართულ ოცნებას“, ხოლო კომპანიამ ამავე პერიოდში ჯამში 118 მილიონი ლარის ოდენობის 12 ტენდერი მოიგო.

შპს „გზას“ 2011 წლიდან სულ 245 მილიონი ლარის ღირებულების ტენდერები და 10 მილიონ ლარამდე ღირებულების გამართივებული შესყიდვების კონტრაქტები აქვს მიღებული, ხოლო დუმბაძეს და ჭყონიას სულ, გასულ წლებში მმართველი პარტიის სასარგებლოდ 220,000 ლარი აქვთ გაღებული.

სულ, „ქართული ოცნების“ 2022 წლის შემომწირველებმა ამავე პერიოდში 86,000 ლარის ოდენობის გამართივებული შესყიდვის კონტრაქტი მიიღეს, საიდანაც 82,000 გიორგი ჭყონიას საკუთრებაში არსებულ კომპანიებზე „შატო კვირიკე“ და „ბათუმი ცენტრალზე“ მოდიოდა.

წარსულში ჭყონიას კომპანიებს მიღებული აქვთ დაფინანსება სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, მათ შორის „ანარმოე საქართველოდან“ (153,066 ლარი), „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტიდან“ (181,237 ლარი), „გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტიდან“ (201,735 ლარი).¹⁸

პოლიტიკური კორუფციის მაღალი რისკის შემცველი შემონირულებებიდან განსაკუთრებით გამოყოფას იმსახურებს ჯონი ჯინჭარაძის და მარინა დეხტიარევის მიერ „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ გაღებული შემონირულებები (ჯამში 40,000ლ). ორივე შემომწირველი კომპანია „ეჩ გრუპ დეველოპმენტთან“ არიან დაკავშირებული (კომპანიის მესაკუთრეები რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები არიან), რომელიც ბათუმთან ახლოს, სოფელ სალიბაურის მაღლობზე, 16,000 კვ.მ. ფართობზე საცხოვრებელი უბნის მშენებლობას გეგმავს. სწორედ შემონირულების განხორციელების პერიოდში პროექტის განაშენიანების დეტალური გეგმა ხელგაჩაურის საკრებულოსთვის იყო გადაგზავნილი დასამტკიცებლად და რომელიც შემონირულების განხორციელებიდან 17 დღეში საკრებულომ ერთხმად დაამტკიცა.¹⁹ ამ შემთხვევას „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ და მედია საშუალებებმა არაერთი პუბლიკაცია მიუძღვნეს, თუმცა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მხრიდან რეაგირება არ მომხდარა.

18 პოლიტიკური შემონირულებების კვარტალური საინფორმაციო ბიულეტენი N2, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 28.02.2023, <https://bit.ly/3nPEanM>

19 იხ. ვრცლად: ბათუმთან ახალი საცხოვრებელი უბნის მშენებლობას რუსეთის მოქალაქეები სავარაუდოდ კორუფციული გზებით ცდილობენ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 12.04.2023, <https://bit.ly/3oMilGp>

2.2.2. სხვა პირის მეშვეობით შემოწირულებების კუთხით არსებული რისკები

ვინაიდან, კარგი საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით პოლიტიკური შემოწირულებების ოდენობებზე ზედა ზღვრები არის დაწესებული, ჩნდება იმის რისკები, რომ ერთი პირის მიერ პარტიისთვის დიდი თანხის შესაწირად სხვა პირები იყვნენ გამოყენებული.

კანონის გვერდის ავლით სხვა პირის მეშვეობით განხორციელებული შემოწირულებების გამოვლენა რთულია, თუმცა ასეთი შემთხვევების არსებობის ალბათობა იზრდება, როდესაც ჩანს, რომ ერთ ბიზნეს ჯგუფთან დაკავშირებული პირები ერთსა და იმავე დღეს ან რამდენიმე დღის შუალედში ერთსა და იმავე პარტიას სწირავენ.

პოლიტიკური ფინანსების შესახებ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ არაერთ ანგარიშში აღნიშნავდა, რომ წლების განმავლობაში მმართველი პარტიის შემომწირველებს შორის ჩამოყალიბდა რამდენიმე მსხვილი ჯგუფი, რომელიც თითქმის ყოველ წელს პარტიას დიდი თანხებით აფინანსებს. **ყველა ასეთ ჯგუფს ის ახასიათებს, რომ მასში შემავალი პირების დიდი ნაწილი ერთსა და იმავე დღეს ან რამდენიმე დღის შუალედში სწირავს მმართველ პარტიას თანხას.**

ასეთ ტრადიციულ ჯგუფებს შორის 2022 წელს გამოკვეთილი იყო ბიძინა ივანიშვილთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებული პირები, რომლებიც 2011 წლიდან მოყოლებული სხვადასხვა წლებში სტაბილურად სწირავენ მმართველ პარტიას. 2022 წელს ივანიშვილთან დაკავშირებულმა **7 პირმა ჯამში 250,000 ლარი** გაიღო „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ. იმავე პირებს 2011 წლიდან **1.8 მლნ ლარზე მეტი** აქვთ მმართველი პარტიისთვის შეწირული (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 2. ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული შემომწირველები				
სახელი, გვარი	შემოწირულების ოდენობა (ლ)	შემოწირულების განხორციელების თარიღი 2022 წელს	ყველა წელს გაღებული შემოწირულების ჯამი (ლ)	კავშირი
ნუგზარ დეკანოიძე	50,000	7.06.2022	140,000	საჩხერის საფეხბურთო კლუბ „ჩიხურას“ დირექტორი
ნატო ხაინდრავა	40,000	29.07.2022	402,600	სს „ქართუ ჯგუფის“ გენ. დირექტორი
გოჩა ჩიკვილაძე	30,000	29.07.2022	271,630	სს „ქართუ ჯგუფის“ აღმას. დირექტორი
ზურაბ გოგუა	30,000	29.07.2022	263,000	სს „ქართუ ბანკის“ გენ. დირექტორის მოადგილე
გივი ლებანიძე	30,000	6.10.2022	241,800	სს „ქართუ ბანკის“ გენ. დირექტორის მოადგილე
დავით გალუაშვილი	40,000	4.10.2022	305,429	სს „ქართუ ბანკის“ გენ. დირექტორის მოადგილე (ყოფ.)
მანანა ნადირაძე	30,000	4.10.2022	224,270	სს „ქართუ ბანკის“ გენ. დირექტორი (ყოფ.)

„ქართული ოცნების“ 2022 წლის შემომწირველებს შორის აგრეთვე გამოიკვეთა სხვა, მცირე ჯგუფები, რომლებსაც საერთო ბიზნეს ინტერესები აკავშირებთ და როგორც წესი ერთდროულად წირავენ პარტიას მსხვილ თანხას.

ერთ და იმავე დღეს შეწირეს „ქართულ ოცნებას“ ჯამში **100,000 ლარი ნომრევან ნამორაძემ და მისმა მეუღლემ, ნინო სუთიძემ**. ნამორაძე ხელისუფლებასთან დაახლოებული ბიზნესმენია, ის სამშენებლო ბიზნესს ეწევა. მისი სახელი უკავშირდება ბიზნესმენ დავით კოდუას მიმართ ფიზიკურ ანგარიშსწორებას, 2014 წელს, როდესაც ის სასამართლომ გირაოს გადახდის გზით გაათავისუფლა. ნამორაძეს უკავშირდება, აგრეთვე, თბილისში თაბორის მთაზე არსებული ვრცელი ტერიტორიის პრივატიზაციისთვის მომზადება.²⁰

2022 წლის 28 და 29 აპრილს ჯამში **150,000 ლარი** შეწირეს „ქართულ ოცნებას“ **მუხრან, თონა და ლაშა ბაგრატიონებმა**, რომლებიც ერთმანეთთან სხვადასხვა ფორმით დაკავშირებულნი არიან შპს „კონკორდის“, შპს „ედელვაისი-2016“-ის, შპს „ქარავან თბილისის“ მეშვეობით, მათივე სახელს უკავშირდება თბილისში მდებარე სავაჭრო ცენტრები „ქალაქის გული“ და „თერგი“. გასულ წლებში ამ ჯგუფს მმართველი პარტიის სასარგებლოდ 360 000 ლარი აქვთ გაღებული.²¹

ზურაბ ძაგნიძემ და ირაკლი შატაკიშვილმა ერთ და იმავე დღეს ჯამურად **100,000 ლარი** შეწირეს „ქართულ ოცნებას“. ისინი ა(ა)იპ „რუსთაველების“ გამგეობის წევრები არიან. ირაკლი შატაკიშვილი 2022 წლის აპრილიდან „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატია პარლამენტში რუსთავი-გარდაბნის ოლქიდან. გარდა ამისა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ მიღებული ინფორმაციით ძაგნიძე დაკავშირებულია ბიზნეს ჯგუფთან, რომელსაც ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტისგან მრავალწლიანი იჯარა/აღნაგობით მიღებული აქვს ქალაქში არსებული უძრავი ქონებები. ძაგნიძეს და შატაკიშვილს „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ, გასულ წლებში სულ 270,000 ლარზე მეტი აქვთ შეწირული. გარდა ამისა, შატაკიშვილის და ძაგნიძის მიერ შემოწირულების განხორციელების დღეს მმართველი პარტიის სასარგებლოდ ზუსტად იმავე რაოდენობის თანხა (50,000 ლ) გაიღო კახაბერ მჭედლიძემ, რომელიც კომპანია RMG-ის კორპორაციული დირექტორია. ეს პირველი შემთხვევა არაა, როდესაც ძაგნიძე, შატაკიშვილი და მჭედლიძე ერთ და იმავე დღეს წირავენ თანხას „ქართულ ოცნებას“, ასეთი შემთხვევა 2020 წლის 25 მაისსაც მოხდა, როდესაც სამივემ ჯამში 125,000 ლარი შეწირეს პარტიას,²² **ეს დამატებით აჩვენებს, რომ შესაძლოა შეწირული თანხის რეალური წყარო არა უშუალოდ შემომწირველი პირები არამედ კომპანია RMG იყოს**. სხვა პირების მეშვეობით შემოწირულების განხორციელებას კი კანონმდებლობა კრძალავს.

რეკომენდაციები

- აუცილებელია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციულ სააგენტომ შეისწავლოს „ეიჩ გრუპ დეველოპმენტის“ მიერ სალიბაურის მაღლობზე დაგეგმილი მშენებლობის ნებართვის შესაძლო კორუფციული გზით მოპოვების ფაქტი
- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციულმა სააგენტომ უნდა შეისწავლოს მმართველი პარტიის დონორების მიერ განხორციელებული შემოწირულებების კავშირი მათ მიერ მიღებულ მსხვილი სახელმწიფო შესყიდვების კონტრაქტებთან, რათა გამოირიცხოს შესაძლო კორუფციული გარიგების არსებობა

20 რატომ გაასხვისა თბილისის მერიამ ტყიანი სივრცე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონაში?, „ღია საზოგადოების ფონდი“, 29.03.2022, <https://bit.ly/42A33SK>

21 პოლიტიკური შემოწირულებების საინფორმაციო ბიულეტენი N1, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 16.11.2022, <https://bit.ly/42GEyDs>

22 იქვე.


2.3. საბანკო სესხი

საბანკო სესხით 2022 წელს ორმა პარტიამ ისარგებლა. პარტიამ „ევროპული საქართველო“ 19 აპრილს „ლიბერტი ბანკისგან“ 9 თვის ვადით 259,930 ლარი ისესხა წლიური 14%-იანი განაკვეთით (რომელიც დეკლარაციის თანახმად პარტიამ იმავე წლის დეკემბერში დაფარა). „პატრიოტთა ალიანსმა“ 29 ივლისს „ლიბერტი ბანკისგან“ 700,000 ლარის ოდენობის იპოთეკური სესხი მიიღო, უძრავი ქონების გარანტიით, 18 თვის ვადით და 16%-იანი განაკვეთით.

2.4. სხვა ფულადი შემოსავლები

პარტიების მიერ შევსებული დეკლარაციის ფორმები ითვალისწინებს კატეგორიას „სხვა ფულადი შემოსავლები“. 2022 წლის განმავლობაში ამ კატეგორიის შემოსავლის ჯამი ყველა პარტიისთვის 385,399 ლარს შეადგენდა და სულ ექვსმა პარტიამ მიიღო (იხილეთ **დიაგრამა 7**). დეკლარაციის ფორმაში არ არის გათვალისწინებული ამ ტიპის შემოსავლების განმარტება, რაც ხშირად გაუმჭვირვალეს ხდის ამ თანხების წარმომავლობას. სპეციალური ფორმის არსებობის გარეშე, ასეთი შემოსავლის წყაროების დაკონკრეტება პარტიების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, რომელსაც პარტიების მხოლოდ მცირე ნაწილი იჩენს. „საქართველოს რესპუბლიკურ პარტიას“ თავისი ინიციატივით მითითებული აქვს, რომ ეს არის უძრავი ქონების იჯარიდან მიღებული შემოსავალი, ხოლო „კონსერვატიულ პარტია“ უთითებს, რომ შემოსავალი მიღებულია საოფისე შენობა-ნაგებობის რეალიზაციიდან.

დიაგრამა 7. პოლიტიკური პარტიების მიერ 2022 წელს მიღებული სხვა ფულადი შემოსავლები, ₾



მონაცემთა წყარო: პოლიტიკური პარტიების მიერ სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის წარდგენილი წლიური ფინანსური დეკლარაციები

რეკომენდაცია

სასურველია, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა წლიურ ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტში ჩაამატოს ცალკე ფორმა, სადაც პარტიები მიუთითებენ „სხვა ფულადი შემოსავლების“ კატეგორიაში აღნიშნული თანხის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კონკრეტულ წარმომავლობას.

VI. პოლიტიკური პარტიების მიერ გაწეული ხარჯები

1. გაწეული ხარჯები

საქართველოს კანონმდებლობა პოლიტიკურ პარტიებს ავალდებულებს, განეული ხარჯების შესახებაც დეტალური ანგარიში სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მიაწოდონ, რომელიც, თავის მხრივ, ვალდებულია გაასაჯაროოს პარტიისგან მიღებული ინფორმაცია. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების“ შესახებ ორგანული კანონით რეგლამენტირებულია ხარჯების მაქსიმალური ოდენობა: მოქმედი რეგულაციით პარტიის მიერ წლის განმავლობაში განეული ხარჯების საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს წინა წლის მთლიანი შიდა პროდუქტის **0.05%-ს**, თუმცა როგორც IV თავში აღვნიშნეთ ეს ცვლილება 2022 წლის დეკემბრიდან მოქმედებს, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ხარჯების ზედა ზღვარი წარმოადგენდა **მშპ-ს 0.1%-ს**. აღნიშნულ თანხაში, ასევე, შედის პარტიის და მათ სასარგებლოდ სხვა პირის მიერ განეული ხარჯები. ხარჯებში მოიაზრება არჩევნებზე, სხვადასხვა ღონისძიების დაფინანსებაზე, შრომის ანაზღაურებაზე, მივლინებაზე და სხვა ღონისძიებებზე განეული ხარჯები.

გარდა პარტიის საერთო წლიური ხარჯების ლიმიტირებისა, კანონი, ასევე, აწესებს კონკრეტული ტიპის ხარჯებზე შეზღუდვებსაც: პარტიის საექსპერტო-საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვაზე განეული ხარჯი არ უნდა აღემატებოდეს წლის განმავლობაში ნებადართული მაქსიმალური ხარჯის 10%-ს.


2. პოლიტიკური პარტიების მიერ გაწეული ხარჯების მიმოხილვა

პარტიების მიერ სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის წარდგენილი წლიური დეკლარაციების მიხედვით, კვლევის ფარგლებში შესწავლილმა 16 პოლიტიკურმა პარტიამ 2022 წელს სულ **16,047,245** ლარის ოდენობის ხარჯი განია, რომლის **39%** - **6,281,984** ლარი მმართველ პარტიაზე „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ მოდიოდა, 2,380,790 ლარის ხარჯით მეორე ადგილზე იყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, მესამეზე კი - „პატრიოტთა ალიანსი“ 1,710,764 ლარით (იხილეთ **დიაგრამა 8**).

ამ მონაცემებით ჩანს, რომ ისევე როგორც შემოსავლების ნაწილში, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ ხარჯებიც მნიშვნელოვნად აღემატებოდა სხვა დანარჩენ პარტიების ხარჯებს. რაც შეეხება განეული ხარჯების კანონით დაშვებულ ზედა ზღვარს, 2022 წლისთვის იგი **60 მლნ ლარი**²³ იყო. აქედან გამომდინარე, არც ერთ პარტიას ეს ზღვარი არ გადაულახავს.

23 საქართველოს 2021 წლის ნომინალური მშპ-ის 0.1%:
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp>


დიაგრამა 8. 2022 წელს პარტიების მიერ განეული მთლიანი ხარჯები



მონაცემთა წყარო: პოლიტიკური პარტიების მიერ სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის წარდგენილი წლიური ფინანსური დეკლარაციები

განსხვავებით საარჩევნო წლებისა, როდესაც პარტიების ხარჯების უდიდესი ნაწილი პოლიტიკურ რეკლამებზე მოდიოდა 2022 წელს ყველაზე მსხვილი ხარჯები შემდეგ კატეგორიებზე მოდიოდა: ა) შრომის ანაზღაურება, ბ) უძრავი და მოძრავი ქონების იჯარა, გ) ოფისის ხარჯები, დ) სანოტარო, საკონსულტაციო, თარჯიმნის და თარგმნის მომსახურების ხარჯები, ე) რეკლამა (იხილეთ **დიაგრამა 8**).

დიაგრამა 9. პოლიტიკური პარტიების მიერ 2022 წელს განეული ხარჯები ძირითადი კატეგორიების მიხედვით, ლ, %




მონაცემთა წყარო: პოლიტიკური პარტიების მიერ სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის წარდგენილი წლიური ფინანსური დეკლარაციები

2.1. შრომის ანაზღაურება

შესწავლილმა 16-მა პოლიტიკურმა პარტიამ 2022 წელს შრომის ანაზღაურების მიზნით **3,295,293 ლარი** დახარჯა, რაც მათი ჯამური ხარჯების **29%** იყო. შრომის ანაზღაურების კატეგორიაში ექცევა პარტიის მიერ გაცემული ხელფასები, პრემიები, შტატგარეშე თანამშრომელთა ანაზღაურება, რაც, როგორც წესი, საარჩევნო პერიოდში პარტიის კოორდინატორებსა თუ აქტივისტებზე გაცემულ ხელფასებსაც გულისხმობს. ამ კატეგორიაში ყველაზე მეტ თანხას „ნაციონალური მოძრაობას“, „პატრიოტთა ალიანსი“ და ევროპელი დემოკრატები“ ხარჯავენ“ (იხ. **დიაგრამა 10**).

დიაგრამა 10. 2022 წელს პოლიტიკური პარტიების მიერ შრომის ანაზღაურებაზე განხორციელებული ხარჯები, ლ




მონაცემთა წყარო: პოლიტიკური პარტიების მიერ სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის წარდგენილი წლიური ფინანსური დეკლარაციები

დიაგრამა 11-ზე მოცემულია შრომის ანაზღაურების ხარჯების წილი პარტიების მთლიან დანახარჯებთან მიმართებაში. საინტერესოა შრომის ანაზღაურებაზე მმართველი პარტიის მხრიდან მცირე დანახარჯები არსებობა.²⁴ მსგავს ფაქტს 2021 წელსაც ჰქონდა ადგილი, როდესაც მმართველმა პარტიამ წლის განმავლობაში 26 მლნ ლარამდე დახარჯა, მაგრამ შრომის ანაზღაურებამ მისი ხარჯების მხოლოდ 2% (506,493 ლარი) შეადგინა.

24 შედარებისთვის, წინა არასაარჩევნო წელს, 2019 წელს, „ქართულმა ოცნებამ“ შრომის ანაზღაურების მიზნით 500,000 ლარზე მეტი დახარჯა, რაც მისი მთლიანი ხარჯების 10%-ს შეადგენდა.

დიაგრამა 11. 2022 წელს პოლიტიკური პარტიების მიერ შრომის ანაზღაურებაზე განეული ხარჯების წილი მათ ჯამურ ხარჯებში, %



მონაცემთა წყარო: პოლიტიკური პარტიების მიერ სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის წარდგენილი წლიური ფინანსური დეკლარაციები

ზოგადად, შრომის ანაზღაურებაზე განეული ხარჯის დამალვა პოლიტიკურ პარტიებს განსაკუთრებით უადვილდებათ, ვინაიდან მასზე გარე ზედამხედველობა რთულია, შესაბამისად, ამ კატეგორიის ხარჯებს პოლიტიკური კორუფციის განსაკუთრებულად მაღალი რისკები ახლავს თან.

2.2. იჯარის, ოფისის და ჩეკდამის ხარჯები

ტრადიციულად, საარჩევნო წლებში დაბალია სარეკლამო ხარჯები, ამ პერიოდში პარტიები ძირითადად ოფისების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს წევენ. შრომის ანაზღაურების შემდეგ უძრავი და მოძრავი ქონების იჯარის ხარჯი ყველაზე მსხვილი კატეგორიაა მთლიანი ხარჯებიდან (29%). 17%-იანი წილი უჭირავს აგრეთვე ოფისის ხარჯებსაც, რომელიც მოიცავს


საკანცელარიო, საოფისე ტექნიკის, შენობის რემონტის, კავშირგაბმულობის და მსგავს დანახარჯებს. დიაგრამა 12-ში წარმოდგენილია პარტიების ოფისის და იჯარის კატეგორიების გაერთიანებული ხარჯები.

დიაგრამა 12. 2022 წელს პოლიტიკური პარტიების მიერ ოფისისა და იჯარაში გაწეული ხარჯები, ლ

ქართული ოცნება	3,017,326
ნაციონალური მოძრაობა	566,333
კონსერვატიული მოძრაობა	511,790
ევროპული საქართველო	286,360
ლელო	278,312
პატრიოტთა ალიანსი	192,594
გირჩი	126,735
რესპუბლიკელები	57,223
სტრატეგია აღმაშენებელი	57,166
მოქალაქეები	19,782
ლეიბორისტები	15,884
ევროპული დემოკრატები	10,981
კონსერვატიული პარტია	92
სახელმწიფო ხალხისთვის	-
პროგრესი და თავისუფლება	-
კანონი და სამართალი	-

რეკლამაში 2022 წელს მხოლოდ ხუთმა პარტიამ დახარჯა ჯამში დაახლოებით 1 მილიონი ლარი. მათი უმრავლესობა „ქართული ოცნებამ“ გაიღო 688,325 (სრულად იხ. **დიაგრამა 13**).

დიაგრამა 13. 2022 წელს პოლიტიკური პარტიების მიერ რეკლამაში გაწეული ხარჯები, ლ



მონაცემთა წყარო: პოლიტიკური პარტიების მიერ სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის წარდგენილი წლიური ფინანსური დეკლარაციები

2.3. სხვა ხარჯები

ამ ქვეთავში მიმოვიხილავთ იმ პარტიების მსხვილ ხარჯებს, რომლებიც წინა ქვეთავების კატეგორიებში ვერ მოხვდა. ასეთი დაუზგუფებელი ხარჯების ჯამი ყველა პარტიისთვის დაახლოებით 4.5 მლნ ლარს შეადგენდა.

„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - ფინანსური დეკლარაციის თანახმად 2022 წელს 1 მილიონი ლარი გადაიხადეს კომერციული ბანკიდან მიღებული სესხის დასაფარად. პარტიას 2021 წელს ნოემბერში ჰქონდა „ქართუ ბანკისგან“ თანხა სესხის ხელშეკრულებით მიღებული.²⁵

25 იხ. პოლიტიკური პარტიების დაფინანსება საქართველოში 2021 წელს, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 8.07.2022, გვ. 33, <https://bit.ly/45Sm7yD>

გარდა ამისა პარტიამ 70,000 ლარამდე სესხის მომსახურების საფასური გადაიხადა. პარტიის მნიშვნელოვანი ხარჯი იყო აგრეთვე 75,000 ლარად შეძენილი სატრანსპორტო საშუალებები.

„პატრიოტთა ალიანსი“ - დეკლარაციის თანახმად პარტიამ 700,000 ლარიანი ხარჯი გაიღო მშენებლობაში, 180,000 ლარამდე თანხით კომერციული ბანკის სესხი დაფარა, 40,000 ლარით საბანკო სესხის მომსახურებაში გაიღო, ხოლო 35,000 ლარით სატრანსპორტო საშუალებები შეიძინა.

„ევროპული საქართველო“ - დეკლარაციის თანახმად პარტიის ყველაზე მსხვილი ხარჯი იყო კომერციული ბანკიდან მიღებული ორი სესხის დაფარვა (643,000 ლარი), რომელიც პარტიამ 2021 და 2022 წლებში „ლიბერთი ბანკიდან“ მიიღო.²⁶

„ნაციონალური მოძრაობა“ - დეკლარაციაში პარტიას დაახლოებით 300,000 ლარის ოდენობის გასავალი აქვს „სხვადასხვა ხარჯების“ კატეგორიაში აღრიცხული, რომელიც ჩაშლილია სპეციალურ ფორმაში. აქედან უმრავლესობა (278,000 ლარი) სასამართლოს მიერ დაკისრებული სხვადასხვა ხარჯების და კომპენსაციების დაფარვაა.

„მოქალაქეები“ - დეკლარაციის თანახმად 73,000 ლარამდე აქვთ დახარჯული ლოჯისტიკური საქმიანობის მომსახურებაში.

„კონსერვატიული მოძრაობა“ - დეკლარაციის თანახმად სოციალურ უზრუნველყოფის კატეგორიის ხარჯები აქვს 46,000 ლარის ოდენობით გაღებული.

26 იხ. პოლიტიკური პარტიების დაფინანსება საქართველოში 2021 წელს, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“, 8.07.2022, გვ. 33, <https://bit.ly/45Sm7yD>

VII. ფინანსების გამჭვირვალობა და მასზე ზედამხედველობა

1. ბაზრული რეგულირება

პოლიტიკური გაერთიანებებისთვის ფინანსური ანგარიშგების მომზადების ვალდებულების არსებობა და მათი ღიაობა მნიშვნელოვანი ელემენტია გამჭვირვალობის და საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით საზოგადოებაში ნდობის ჩამოსაყალიბებლად. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ ანგარიშვალდებულების პროცესი იყოს იმგვარად გაწერილი, რომ, ერთი მხრივ, ეფექტიანად უზრუნველყოფდეს კონტროლის განხორციელებას, ხოლო, მეორე მხრივ, არ ქმნიდეს გადაჭარბებულ ტვირთს პოლიტიკური პარტიებისთვის.

ქართული კანონმდებლობით პოლიტიკური დაფინანსების კანონიერებასა და გამჭვირვალობაზე მონიტორინგის მანდატი სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ჰქონდა მინიჭებული, თუმცა როგორც აღინიშნა, 2022 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით ამ მანდატს 2023 წლის 1 სექტემბრიდან ახალი სახელმწიფო უწყება – ანტიკორუფციული ბიურო გადაიბარებს. ამ ცვლილებების დადებით და უარყოფით მხარეები ანგარიშის IV თავში მიმოვიხილეთ, მთავარი კითხვა, ცხადია, ბიუროს პოლიტიკურ ნეიტრალიტეტთან დაკავშირებით არსებობს.

საანგარიშო პერიოდში პოლიტიკურ პარტიებზე ზედამხედველობას სახელმწიფო აუდიტის სამსახური ახორციელებდა, მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს, როგორც პერიოდული, ისე კონკრეტულ საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებული ანგარიშების წარდგენის ვალდებულებას. ყოველი წლის 1 თებერვლამდე პარტიები სახელმწიფო აუდიტის სამსახურს უგზავნიან გასული წლის ფინანსურ ანგარიშგებებს აუდიტორის (აუდიტორული ფირმის) დასკვნასთან ერთად. ფინანსურ დეკლარაციაში აისახება პარტიის წლიური შემოსავალი და გასავალი, აგრეთვე, ქონებრივი მდგომარეობის ანგარიში. თითოეული დეკლარაცია მოიცავს რამდენიმე ანგარიშის ფორმას, რომელიც გენერალური აუდიტორის 2021 წლის 5 აგვისტოს №012036/21 ბრძანების შესაბამისად უნდა იქნეს შევსებული. გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დადგენილია შემოწმებული და ანგარიშიდან ნაღდი ფულის გატანის ინფორმაციის წარმოდგენის ფორმები.

კანონით, ასევე, უზრუნველყოფილია პარტიების მიერ წარდგენილი დეკლარაციების ხელმისაწვდომობა — პოლიტიკური გაერთიანებებისგან მიღებულ ფინანსურ დეკლარაციებს სახელმწიფო აუდიტის სამსახური საკუთარ ვებგვერდზე <https://monitoring.sao.ge/> აქვეყნებს, სადაც მათ შორის საჯაროა შემოწმირველების სიაც, სრული სახელი/გვარისა და პირადი ნომრის მითითებით. დეკლარაციები განთავსებულია Microsoft Excel-ის და სკანირებული დოკუმენტის ფორმატებში.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ კანონის 34² მუხლი ითვალისწინებს სანქციებს ანგარიშგების წესების დარღვევის სხვადასხვა შემთხვევისთვის, რა დროსაც სამსახურის უფლებამოსილი პირები ადგენენ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს და განსაზღვრულ უგზავნიან სასამართლოს:

- აკრძალული შემოწმირვების დროს გათვალისწინებულია ორმაგი ოდენობის ჯარიმა და მიღებული თანხის ბიუჯეტში გადარიცხვის ვალდებულება;
- კანონის მოთხოვნების დარღვევის დროს კი - 5,000 ლარის ოდენობის ჯარიმა;
- სამსახურის მიერ მოთხოვნილი და კანონით განსაზღვრული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობის დროს ფიზიკურ პირებზე - 1,000 ლარი, ხოლო იურიდიულ პირებზე - 2,000 ლარის ჯარიმა არის განსაზღვრული.

2. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საზედამბებელი საქმიანობა

2022 წლის განმავლობაში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ გამოვლენილ სამართალდარღვევებზე და მათზე რეაგირებაზე ინფორმაცია მოცემულია 2022 წლის სამართალდარღვევათა რეესტრში.²⁷

რეესტრის თანახმად, საანგარიშო პერიოდში ადმინისტრაციული სამართალდარღვევა მხოლოდ ერთ პარტიას, „**კონსერვატიული მოძრაობას**“ (ალტ. ინფო) დაუდგინდა. კერძოდ, ადმინისტრაციული წარმოების შედეგად გამოვლინდა, რომ პარტიამ არაფულადი შემოწირულება დამალა და წლიური დეკლარაცია არასწორად შეავსო, შედეგად „**კონსერვატიულ მოძრაობას**“ (ალტ. ინფო) დაეკისრა ჯარიმა შემოწირულების ორმაგი ოდენობით (144,988 ლარი) და შემოწირულების (72,494 ლარი) სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვა.

სულ 2022 წლის განმავლობაში შემოწირულების კანონიერების შესწავლის მიზნით, შემოსავლების სამსახურიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია 175 პირის შესახებ, აქედან 83 პირი „**კონსერვატიული მოძრაობის**“ შემომწირველი იყო. აღნიშნული 83 პირიდან 69 პირთან დაკავშირებით დამატებით იქნა გამოთხოვილი ინფორმაცია კომერციული ბანკებიდან.

რეკომენდაცია

ანტიკორუფციული ბიურო ალტურვილი უნდა იყოს შესაბამისი საგამოძიებო უფლებამოსილებებით. პოლიტიკური ნეიტრალიტეტის უზრუნველსაყოფად ბიუროს უფროსის დანიშვნაში მონაწილეობა ოპოზიციურმა პარტიებმაც უნდა მიიღონ.

27 იხილეთ ბმულზე: <https://bit.ly/399MHKU>